

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №7

2010 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“ თანდართულ დანართთან ერთად (დანართი №1).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ. ურჯუმელაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155, 29.11.2010წ., მუხ. 2207

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.

2. წესის მიზანია შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორის გამოყენებით, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული შესყიდვის შემთხვევებში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოში (შემდგომში – სისტემა);

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორი – ევროკავშირის EC №213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი (Common Procurement Vocabulary – CPV), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას (შემდგომში – კლასიფიკატორი);

გ) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები – იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები, რომლებიც დადგენილია წესის შესაბამისად.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155,29.11.2010წ., მუხ.2207

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

მუხლი 3. კლასიფიკატორის ხელმისაწვდომობა

1. კლასიფიკატორის ოფიციალური ვერსია წარმოადგენს სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კლასიფიკატორის ოფიციალური ვერსია განთავსებულია სისტემაში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155,29.11.2010წ., მუხ.2207

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

მუხლი 4. კლასიფიკატორის სტრუქტურა

1. კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შესყიდვების იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებულ დონეს წარმოადგენს დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისგან, ჯგუფები, თავის მხრივ, შედგება კლასებისგან, ხოლო კლასები – კატეგორიებისგან. ზოგიერთ შემთხვევებში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისგან.

2. კლასიფიკატორი შედგება ძირითადი კოდებისგან, რომლებიც განსაზღვრავს შესყიდვის ობიექტს.

3. კლასიფიკატორის ძირითადი კოდი შედგება 8 ციფრისგან, სადაც:

ა) პირველი სამი ციფრი განსაზღვრავს დანაყოფს (მაგ., XXX00000 – სადაც XXX არის დანაყოფის განმსაზღვრელი ციფრები);

ბ) პირველი ოთხი ციფრი განსაზღვრავს ჯგუფს (მაგ., XXXX0000 – სადაც XXXX არის ჯგუფის განმსაზღვრელი ციფრები);

გ) პირველი ხუთი ციფრი განსაზღვრავს კლასს (მაგ., XXXXX000 – სადაც XXXXX არის კლასის განმსაზღვრელი ციფრები);

დ) პირველი ექვსი ციფრი განსაზღვრავს კატეგორიას (მაგ., XXXXXX00 – სადაც XXXXXX არის კატეგორიის განმსაზღვრელი ციფრები);

ე) უკანასკნელი ორი ციფრი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაციის მიზნით.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155,29.11.2010წ.,მუხ.2207

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება

1. სახელმწიფო შესყიდვის საშუალების შერჩევისას, კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად, შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის დანაყოფების შესაბამისად (დანართი №1).

მაგალითი 1. შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: **18820000** (სპორტული ფეხსაცმელი) და შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: **18830000** (დამცავი ფეხსაცმელი) შედიან ერთ დანაყოფში (**18800000** ფეხსაცმელი), რადგან ორივე ობიექტის 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი (**188**) არის იდენტური, შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვის ობიექტები წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დაასაბუთებს, რომ ერთი ჯგუფის კლასებსა და კატეგორიებში შემავალი შესყიდვის კონკრეტული ობიექტები არ შეიძლება განხილულ იქნენ ერთგვაროვნად და აღნიშნული შესყიდვის ობიექტების არაერთგვაროვნად ცნობის შესახებ დასაბუთებულ წერილობით მიმართვას წარადგენს სააგენტოში, სააგენტო არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნებასთან დაკავშირებით და აცნობებს შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნულის თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვა და სააგენტოს გადაწყვეტილების გაცნობა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის ან სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით (www.procurement.gov.ge).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155,29.11.2010წ.,მუხ.2207

დანართი №1

კლასიფიკატორის დანაყოფები

№	კლასიფიკატორის კოდები	შესყიდვის ობიექტის დასახელება
1	03100000	სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები
2	03200000	ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
3	03300000	ფერმერული, ნანადირევი და თევზის პროდუქტები
4	03400000	მეტყევეობისა და ხე-ტყის პროდუქტები
5	09100000	საწვავი
6	09200000	ნავთობის, ქვანახშირისა და ზეთის პროდუქტები
7	09300000	ელექტრო, სითბური, მზისა და ბირთვული ენერჯია
8	14200000	ქვიშა და თიხა
9	14300000	ქიმიკატები და სასუქი მინერალები

10	14400000	მარილისა და სუფთა ნატრიუმის ქლორიდი
11	14500000	სამთო მრეწველობასა და კარიერის დამუშავებასთან დაკავშირებული პროდუქტები
12	14600000	ლითონის მადნები და შენადნობები
13	14700000	მთავარი ლითონები
14	14800000	სხვადასხვა არალითონური მინერალური პროდუქტები
15	14900000	რეგენირებული მეორადი ნედლი მასალები
16	15100000	ცხოველური პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები
17	15200000	დამუშავებული და შენახული თევზი
18	15300000	ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები
19	15400000	ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები
20	15500000	რმის პროდუქტები
21	15600000	დაფქვილი მარცვლეულის პროდუქტები, სახამებელი და სახამებელის პროდუქტები
22	15700000	ცხოველების საკვები
23	15800000	სხვადასხვა საკვები პროდუქტები
24	15900000	სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები
25	16100000	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანები ნიადაგის დასამუშავებლად ან კულტივირებისათვის
26	16300000	მოსავლის ასაღები მანქანები
27	16400000	საფრქვეველი სოფლის მეურნეობის ან მეზღვეობისათვის
28	16500000	თვითდამტვირთავი ან თვითდაცლადი ტრაილერები და ნახევარტრაილერები სოფლის მეურნეობისათვის
29	16600000	სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო მანქანების სპეციალისტი
30	16700000	ტრაქტორები
31	16800000	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მანქანების ნაწილები
32	18100000	სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
33	18200000	გარე ტანსაცმელი
34	18300000	სამოსი
35	18400000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები
36	18500000	სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები
37	18600000	ბეწვეული და ბეწვეულის ნივთები
38	18800000	ფეხსაცმელი
39	18900000	საბარგო ჩანთები, საუნაგირეები, ტომრები და ჩანთები
40	19100000	ტყავი
41	19200000	ტექსტილის ნაჭრები და მონათესავე ნივთები

42	19400000	ტექსტილის ნართი და ძაფი
43	19500000	რეზინისა და პლასტმასის მასალები
44	19600000	ტყავის, ტექსტილის, რეზინისა და პლასტმასის ნარჩენი
45	19700000	სინთეტიკური რეზინა და ბოჭკოები
46	22100000	ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები
47	22200000	გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები
48	22300000	ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა
49	22400000	მარკები, ქვითრების ფორმები, საკრედიტო ბილეთები, სააქციო სერტიფიკატები, ვაჭრობის სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები
50	22500000	საბეჭდი ფორმები ან ცილინდრები ან ბეჭდვისას გამოსაყენებელი სხვა საშუალებები
51	22600000	საღებავი
52	22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები
53	22900000	სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა
54	24100000	გაზეთი
55	24200000	საღებავები და პიგმენტები
56	24300000	ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები
57	24400000	სასუქები და ნიტროგენული ნაერთები
58	24500000	პლასტმასი პირველადი ფორმით
59	24600000	ფეთქებადი ნივთიერებები
60	24900000	სუფთა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები
61	30100000	საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
62	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი
63	31100000	ელექტრონული ძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები
64	31200000	ელექტროენერჯის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა
65	31300000	იზოლირებული მავთული და კაბელი
66	31400000	აკუმულატორები, პირველადი ელემენტები და პირველადი ბატარეები
67	31500000	გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები
68	31600000	ელექტრომოწყობილობები და აპარატურა
69	31700000	ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური მომარაგება
70	32200000	რადიო-ტელეფონის, რადიო-ტელეგრაფის, რადიო-მაუწყებლობის და სატელევიზიო გადამცემი აპარატურა
71	32300000	ტელე და რადიო მიმღებები, და ხმის ან ვიდეო ჩამწერები ან რეპროდუცირების აპარატურა
72	32400000	ქსელები
73	32500000	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და მარაგები

74	33100000	სამედიცინო მოწყობილობები
75	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები
76	33700000	პირადი ჰიგიენის პროდუქტები
77	33900000	გვამის კვეთისა და სამორგე მოწყობილობები და მარაგი
78	34100000	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები
79	34200000	სატრანსპორტო საშუალებების ძარები, ტრაილერები ან ნახევარტრაილერები
80	34300000	ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
81	34400000	მოტოციკლეტები, ველოსიპედები და მოტოციკლეტის ეტლები
82	34500000	გემები და ნავები
83	34600000	რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივები და მოძრავი შემადგენლობა და თანმდევი ნაწილები
84	34700000	თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები
85	34900000	სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები
86	35100000	საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები
87	35200000	პოლიციის მოწყობილობები
88	35300000	იარაღი, საბრძოლო მასალა და აქსესუარები
89	35400000	სამხედრო მანქანები და თანმდევი ნაწილები
90	35500000	საბრძოლო გემები და თანმდევი ნაწილები
91	35600000	სამხედრო საჰაერო ხომალდები/თვითმფრინავები, რაკეტები და კოსმოსური ხომალდები
92	35700000	სამხედრო ელექტრონული სისტემები
93	35800000	ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები
94	37300000	მუსიკალური ინსტრუმენტები და ნაწილები
95	37400000	სპორტული საქონელი და მოწყობილობები
96	37500000	თამაშები და სათამაშოები; ატრაქციონები
97	37800000	ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები
98	38100000	სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები
99	38200000	გეოლოგიური და გეოგრაფიული ხელსაწყოები
100	38300000	საზომი ხელსაწყოები
101	38400000	ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები
102	38500000	საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა
103	38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
104	38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; დროის რელები
105	38800000	საწარმოო პროცესის საკონტროლო მოწყობილობები და დისტანციური საკონტროლო მოწყობილობები

106	38900000	სხვადასხვა შეფასებისა და ტესტირების ხელსაწყოები
107	39100000	ავეჯი
108	39200000	ავეჯეულობა
109	39300000	სხვადასხვა მოწყობილობები
110	39500000	ქსოვილის ნივთები
111	39700000	საოჯახო ტექნიკა
112	39800000	საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები
113	41100000	ბუნებრივი წყალი
114	42100000	საწარმოო დანადგარები და მექანიკური ენერჯის გამოყენება
115	42200000	მანქანა-დანადგარები საკვების, სასმელებისა და თამბაქოს გადასამუშავებლად და მათთან დაკავშირებული ნაწილები
116	42300000	სამრეწველო ან ლაბორატორიული ქურები, ინსინერატორები და ღუმელები
117	42400000	ამწე და გადასაზიდი მოწყობილობები და მათი ნაწილები
118	42500000	გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები
119	42600000	ჩარხები
120	42700000	ტექსტილის, სამოსელისა და ტყავის წარმოების მანქანა-დანადგარები
121	42800000	მანქანა-დანადგარები ქალაღდის ან მუყაოს საწარმოებლად
122	42900000	სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები
123	43100000	სამთო მანქანები
124	43200000	გრუნტის გადამადგილებელი მოწყობილობა, მიწის სათხრელი მანქანები და მათი ნაწილები
125	43300000	სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები
126	43400000	მინერალების დამამუშავებელი და სამსხმელო ქარხნების მოწყობილობა
127	43500000	მუხლუხა სატრანსპორტო საშუალებები
128	43600000	სამთო მრეწველობის, კარიერებისა და სამშენებლო მანქანების ნაწილები
129	43700000	მეტალურგიული დანადგარების ნაწილები და მათთან დაკავშირებული ნაწილები
130	43800000	საამქროს დანადგარები
131	44100000	კონსტრუქციის მასალები და ანალოგიური ნივთები/საგნები
132	44200000	სტრუქტურული მასალები
133	44300000	კაბელი, მავთული და მათთან დაკავშირებული მასალები
134	44400000	სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები
135	44500000	ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები
136	44600000	ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები
137	44800000	საღებავები, ლაქები და მასტიკები
138	44900000	სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და ასპიდური ფიქალი

139	45100000	ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო
140	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
141	45300000	სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები
142	45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები
143	45500000	სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება
144	48100000	წარმოებასთან დაკავშირებული სპეციფიკური პროგრამული პაკეტი
145	48200000	ქსელის, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტი
146	48300000	დოკუმენტის შექმნის, ხატვის, გამოსახვის, დაგეგმვისა და წარმადობის გაზრდის პროგრამული პაკეტები
147	48400000	საქმიანი გარიგებებისა და პირადი ბიზნესის წარმართვის პროგრამული პაკეტები
148	48500000	საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტები
149	48600000	მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები
150	48700000	პროგრამული პაკეტების უტილიტები/მომსახურე პროგრამები
151	48800000	საინფორმაციო სისტემები და სერვერები
152	48900000	სხვადასხვა პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები
153	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
154	50200000	თვითმფრინავების, რკინიგზის, საზღაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
155	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
156	50400000	სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
157	50500000	ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
158	50600000	უსაფრთხოებისა და დაცვის მასალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
159	50700000	შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
160	50800000	სხვადასხვა შესაკეთებელი სამუშაოები და ტექნიკური მომსახურებები
161	51100000	ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების მონტაჟი
162	51200000	საზომი, შესამოწმებელი, საცდელი და სანავიგაციო მოწყობილობების მონტაჟი
163	51300000	საკომუნიკაციო მოწყობილობების მონტაჟი
164	51400000	სამედიცინო და ქირურგიული მოწყობილობების მონტაჟი
165	51500000	მანქანა-დანადგარების მონტაჟი
166	51600000	კომპიუტერებისა და საოფისე მოწყობილობების დაყენება
167	51700000	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების დაყენება
168	51800000	ლითონის კონტეინერების დაყენება
169	51900000	მართვისა და კონტროლის სისტემების დაყენება

170	55100000	სასტუმროს მომსახურება
171	55200000	სალაშქრო ადგილები და სხვა დაბინავების ადგილები, ოღონდ არა სასტუმროში
172	55300000	რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები
173	55400000	სასმელების მიწოდების მომსახურებები
174	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები
175	55900000	საცალო ვაჭრობის მომსახურებები
176	60100000	საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები
177	60200000	სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურებები
178	60300000	ტრანსპორტირების მომსახურებები მილსადენების საშუალებით
179	60400000	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები
180	60500000	სატრანსპორტო კოსმოსური სისტემის მომსახურებები
181	60600000	წყლის ტრანსპორტირების მომსახურებები
182	63100000	ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებები
183	63500000	სამოგზაურო სააგენტოების, ტუროპერატორისა და ტურისტების დახმარების მომსახურებები
184	63700000	სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებები
185	64100000	საფოსტო და საკურიერო მომსახურებები
186	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
187	65100000	წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
188	65200000	გაზის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
189	65300000	ელექტროენერჯის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
190	65400000	ენერგომომარაგებისა და განაწილების სხვა წყაროები
191	65500000	მრიცხველის ჩვენების წაკითხვა
192	66100000	საბანკო და საინვესტიციო მომსახურებები
193	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
194	66600000	სახაზინო მომსახურებები
195	66700000	გადაზღვევის/კვლავდაზღვევის/განმეორებითი დაზღვევის მომსახურებები
196	70100000	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურებები, კერძო საკუთრებასთან ერთად
197	70200000	კერძო საკუთრების გაქირავება ან იჯარით გაცემა
198	70300000	უძრავი ქონების სააგენტოების მომსახურებები საზღაურის/ანაზღაურების ან ხელშეკრულების საფუძველზე
199	71200000	არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
200	71300000	საინჟინრო მომსახურებები
201	71400000	ურბანული დაგეგმარება და ლანდშაფტური არქიტექტურული მომსახურება
202	71500000	მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები

203	71600000	ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები
204	71700000	მონიტორინგი და კონტროლი
205	71800000	საკონსულტაციო მომსახურება წყალმომარაგებასთან და ნარჩენებთან დაკავშირებით
206	71900000	ლაბორატორიული მომსახურებები
207	72100000	აპარატურულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
208	72200000	პროგრამები პროგრამული უზრუნველყოფისათვის და საკონსულტაციო მომსახურებები
209	72300000	მონაცემთა ბაზების მომსახურება
210	72400000	ინტერნეტ მომსახურებები
211	72500000	კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები
212	72600000	კომპიუტერული მხარდაჭერა/უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურებები
213	72700000	კომპიუტერული ქსელის მომსახურება
214	72800000	კომპიუტერის შემოწმებისა და გამოცდის/ტესტირების მომსახურება
215	72900000	კომპიუტერის სარეზერვო დუბლირება და კატალოგის კონვერტირება
216	73100000	კვლევა და ექსპერიმენტული დამუშავება
217	73200000	კვლევასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
218	73300000	კვლევისა და დამუშავების დაპროექტება და განხორციელება
219	73400000	უსაფრთხოებისა და დაცვის მასალების კვლევა და დამუშავება
220	75100000	ადმინისტრაციული მომსახურება
221	75200000	საზოგადოებისათვის მომსახურებების გაწევა
222	75300000	სავალდებულო სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურებები
223	76100000	პროფესიონალური მომსახურებები გაზის მრეწველობისათვის
224	76200000	პროფესიონალური მომსახურებები ნავთობმრეწველობისათვის
225	76300000	ბურღვა
226	76400000	მოწყობილობის დაყენება/მდებარეობის რეგულირება
227	76500000	მომსახურებები ნაპირზე და ნაპირიდან მოშორებით
228	76600000	მილსადენების დათვალიერება/ინსპექტირება
229	77100000	სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
230	77200000	სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
231	77300000	მებაღეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
232	77400000	ზოოლოგიური მომსახურებები
233	77500000	მეცხოველეობასთან დაკავშირებული მომსახურებები

234	77600000	ნადირობასთან დაკავშირებული მომსახურებები
235	77700000	თევზის რეწვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებები
236	77800000	აკვაკულტურასთან დაკავშირებული მომსახურებები
237	77900000	მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
238	79100000	იურიდიული მომსახურებები
239	79200000	საზღვაო ტრანსპორტი, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები
240	79300000	ბაზრის შესწავლა და ეკონომიკური კვლევა, გამოკითხვები და სტატისტიკა
241	79400000	ბიზნესთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები
242	79500000	საკანცელარიო მომსახურებები
243	79600000	რეკრუტირება
244	79700000	გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
245	79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
246	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
247	80100000	დაწყებით განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებები
248	80200000	საშუალო განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებები
249	80300000	უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული მომსახურებები
250	80400000	ზრდასრულების სწავლება და სხვა სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურებები
251	80500000	სატრენინგო მომსახურებები
252	80600000	უსაფრთხოებისა და დაცვის მასალების გაცნობა/სწავლება
253	85100000	ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები
254	85200000	ვეტერინარული მომსახურებები
255	85300000	სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
256	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები
257	90500000	ნარჩენებთან და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები
258	90600000	ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
259	90700000	ეკოლოგიური სამსახური
260	90900000	დასუფთავება და სანიტარიული ღონისძიებები
261	92100000	კინო და ვიდეო მომსახურებები
262	92200000	რადიო და სატელევიზიო მომსახურებები
263	92300000	გასართობი ღონისძიებები
264	92400000	ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები
265	92500000	ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მომსახურებები

266	92600000	სპორტული მომსახურებები
267	92700000	ინტერნეტკავშირების მომსახურება
268	98100000	საწევრო ორგანიზაციების მომსახურებები
269	98200000	თანასწორ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
270	98300000	სხვადასხვა მომსახურებები
271	98500000	კერძო მეურნეობები დაქირავებული პირებით
272	98900000	ექსტრატერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №10-სსმIII, №155, 29.11.2010წ., მუხ.2207